სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/55

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების საათობრივი ანაზღაურების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-04/154 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 11 ლარის ოდენობით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**